



**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების
Schmidt v. Austria (განაცხადის N513/05) მოკლე მიმოხილვა**

ანა ლიპარტელიანი (სტუდენტი)
მარიტა გორგილაძე (სტუდენტი)

პროცედურა

ჰაროლდ შმიდტმა საჩივარი შეიტანა ავსტრიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მის მიმართ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ კონვენციის 34-ე და მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

ფაქტები

განმცხადებელი ვენაში ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. განმცხადებელი იცავდა კომერციული მენეჯერის ინტერესებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სურსათის ეტიკეტის შესახებ ბრძანების დარღვევის გამო. აღნიშნულ დავაში ვენის სურსათის ინსპექციის სააგენტო შმიდტის კლიენტს ბრალს სდებდა ინდაურის ხორცის ორი ნიმუშის მიმართ გაყინული სურსათის ეტიკეტის შესახებ ბრძანების წესების დარღვევას. 1996 წლის 11 ივნისს ვენის სურსათის ინსპექციის სააგენტომ საჩივარი შეიტანა ვენის ადვოკატთა ასოციაციაში, იმ საფუძველით, რომ წარმოების დროს ადვოკატმა სააგენტოს მიმართ გააკეთა ცილისმწამებლური და უსაფუძვლო განცხადებები, კერძოდ, ადვოკატი ბრალს სდებდა სააგენტოს მისი კლიენტის მიმართ თაღლითობაში („ჩემი კლიენტისთვის მახის დაგების მცდელობა“). აღნიშნულმა ბრალდებამ ზიანი მიაყენა ვენის სურსათის სააგენტოს რეპუტაციას. ამასთან, ადვოკატის განცხადებები შეუთავსებელი იყო ადვოკატის პროფესიის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან. ამ საფუძველით ვენის ადვოკატთა ასოციაციამ დისციპლინური წარმოება წამოიწყო ადვოკატის მიმართ. წარმოების პროცესში ადვოკატმა განაცხადა, რომ სააგენტო მის ფრაზას ფართოდ ინტერპრეტირებდა, კერძოდ, მისი სადავო განცხადება ემსახურებოდა სააგენტოს პოლიტიკის და იურიდიული მიდგომების ექვევცემ დაყენებას და არა კონკრეტულ საქმეში თაღლითობაზე მითითებას. 1999 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით, ვენის ადვოკატთა ასოციაციის სადისციპლინო საბჭომ შეწყვიტა საქმის წარმოება. მან დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ბრალდებებმა შეიძლება დაარღვიეს პროფესიის ღირსება და რეპუტაცია, მისმა განცხადებებმა გაამჟღავნა დანაშაულის უმნიშვნელო ხარისხი, რადგან აღნიშნული განცხადებები გაკეთებული იყო წარმოების დროს ადვოკატსა და სააგენტოს შორის ცხარე ოპონირების ფარგლებში. ვენის ადვოკატთა ასოციაციის პროკურორმა გაასაჩივრა ასოციაციის დასკვნა იმ საფუძველით, რომ ადვოკატის ფრაზაში “ჩემი კლიენტისთვის მახის დაგება“ განმცხადებლის გულისხმობდა სააგენტოს თაღლითურ მოქმედებას. ამასთან დაკავშირებით, ადვოკატის არგუმენტი ისევ იგივე იყო, იგი ირწმუნებოდა რომ ამ განცხადებით მიუთითებდა ვენის სურსათის ინსპექციის სააგენტოს მხრიდან, სავარაუდოდ, უკანონო პრაქტიკაზე, რომ მან პოზიცია დააფიქსირა სურსათის შემოწმების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებით და არა თაღლითობაზე.

სააპელაციო საბჭომ დააკმაყოფილა პროკურორის საჩივარი, მან გააუქმა ასოციაციის გადაწყვეტილება და საქმე გადასცა დისციპლინურ საბჭოს. საბჭომ დაადგინა, რომ ადვოკატის განცხადებამ დაარღვია მისაღები ქცევის ფარგლები. განხილვის დროს მან ვერ მიუთითა ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც გაამართლებდნენ გამოთქმას „ჩემი კლიენტისთვის მახის დაგების მცდელობა“. განმცხადებელი უფლებამოსილი იქნებოდა დაეწყო საქმის წარმოება სააგენტოს მიერ

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, თუკი იარსებებდა საფუძველი ან დასაბუთებული ეჭვი საქმის აღსამძვრელად, თუმცა ამ გარემოების არ არსებობის გამო, ადვოკატმა თავისი განცხადებით დაარღვია პროფესიული ღირსებისა და რეპუტაციის სტანდარტი. ამდენად, პირობებს. სადავო განცხადება ცილისმწამებლური იყო და ვენის სურსათის ინსპექციის სააგენტოს თანამშრომლებს შეურაცხყოფდა. ზეპირი მოსმენის ჩატარების შემდეგ, სადისციპლინო საბჭომ დაადანაშაულა განმცხადებელი ადვოკატთა აქტის მე-9 და მე-16 მუხლის დარღვევაში, განმცხადებელმა მიიღო წერილობითი საყვედური და დაევალა გადაეხადა საქმის წარმოების ხარჯები. ადვოკატმა საჩივარი წარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოში, იმ საფუძველით, რომ ასოციაციის გადაწყვეტილებამ დაარღვია მისი სიტყვის თავისუფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოების პროცესში სათანადოდ იყო დაცული განმცხადებლის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და გადაწყვეტილება მიღებულ იყო მისი პროფესიული ინტერესების დაცვით და პროფესიული მოვალეობების სტანდარტების გათვალისწინებით.

კანონმდებლობა

საჩივარი ემყარებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციის 34-ე მუხლს. რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, ავსტრიის ადვოკატის შესახებ კანონის მე-9 მუხლი არეგულირებს ადვოკატის საქმიანობას. ადვოკატს აქვს უფლება გამოიყენოს ნებისმიერი თავდაცვის საშუალება, რომელიც არ ეწინააღმდეგება პროფესიას, სინდისსა და კანონის ინტერესებს. რაც შეეხება სადისციპლინო აქტს. 1-ლი მუხლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის შესახებ უნდა იმსჯელოს სადისციპლინო საბჭომ. განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქციის სადისციპლინო აქტის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არსებობდა შემდეგი დისციპლინური სახდელები: წერილობითი საყვედური, 45 000 ევრომდე ჯარიმა, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროებითი შეჩერება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს და გარიცხვა ადვოკატთა ასოციაციიდან. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაძლო დარღვევაზე იმსჯელა სასამართლომ. ასევე, კონვენციის მე-10 მუხლის შესახებ. განმცხადებელი თვლიდა, რომ დარღვეული იყო გამოხატვის თავისუფლების უფლება. სასამართლომ აღნიშნა, სადავო არ იყო ის ფაქტი რომ დისციპლინურმა სამართალწარმოებამ, რის შედეგადაც წერილობითი საყვედური გამოეცხადა, ხელი შეეშალა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებას.

სამართლებრივი შეფასება

მე-16 მუხლის შესახებ მსჯელობა

აღნიშნული მუხლი ეხება კონკრეტულად უფლებას, იმისა რომ გონივრულ ვადაში განიხილოს სასამართლომ საქმე. პროცესი რვა წელი და ერთი თვე გაგრძელდა სამივე ინსტანციაში. სასამართლოს განმარტებით საქმის ხანგრძლივობის მიზანშეწონილობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით და შემდეგ კრიტერიუმებთან მიმართებით: საქმის სირთულე, განმცხადებლის ქცევა და შესაბამისი ორგანოების დაინტერესების საკითხით. ყველა მასალის გაცნობის შემდეგ, სასამართლომ სხვა რამდენიმე საქმე მოიხმო, რომელშიც აღნიშნულ საკითხზე იყო მსჯელობა გაშლილი და თქვა რომ მსგავსი მდგომარეობა იყო ამ საქმეშიც. მთავრობას არ წარმოუდგენია ფაქტები ან არგუმენტები, რომლითაც საპირისპიროში დაარწმუნებდა მათ. ამიტომ ჩაითვალა რომ გონივრულ ვადაში არ ყოფილა საქმე განხილული, ვადა გადაჭარბებული იყო, აიტომ დადგინდა მე-6 მუხლის დარღვევა.

მე-10 მუხლის შესახებ მსჯელობა

სასამართლო იმეორებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იურისტებს, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ საჯაროდ გააკეთონ კომენტარი სამართლიანობის შესახებ, მათი კრიტიკა არ უნდა აღემატებოდეს გარკვეულ საზღვრებს. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ საჭიროა სწორი ბალანსის დაცვა სხვადასხვა მხარის ინტერესებს შორის, რაც მოიცავს საზოგადოების უფლებას მიიღოს ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებებით წარმოშობილი კითხვების შესახებ. ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს გარკვეული ზღვარი აქვთ ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას, მაგრამ ეს ზღვარი ექვემდებარება ევროპულ ზედამხედველობას, როგორც შესაბამის წესებთან, ასევე მათ მიერ გამოყენებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

მოცემულ შემთხვევაში ვენის სურსათის ინსპექცია სამართალწარმოებაში ისეთ სტატუსს ატარებდა, როგორც პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს თავის პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმად, დაცვა ითვალისწინებს განცხადებებს, რომლითაც ბრალდებული აკრიტიკებს პროკურორს, იმის გამო, რომ მასზე სიტყვიერი შეტევა მოსამართლეს ან სასამართლოზე მთლიანად ხდება. ვენის სურსათის ინსპექციის სააგენტოს რეპუტაციის დაცვის მოთხოვნა არ უნდა წონიდეს პრესის თავისუფლებას და საზოგადოების ინტერესის შემთხვევაში საკითხის ღია განხილვადობას. სასამართლომ ჩათვალა რომ აქ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის რომ, განმცხადებლის ბრალდებები ნამდვილად არ იყო დადასტურებული. განცხადებაში არ იყო მითითებული დეტალები, რომლებიც განმარტავს, თუ რატომ მიიჩნევდა განმცხადებელი, რომ ვენის სურსათის ინსპექციის სააგენტომ არასათანადო ქმედებამ იმოქმედა მისი კლიენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებისას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ნიკულას საქმისაგან განსხვავებით, საქმე ეხებოდა არა სისხლისსამართლებრივ დონეს, არამედ დისციპლინურ სანქციას. სასამართლო იმეორებს, რომ ადვოკატთა განსაკუთრებული როლი, როგორც შუამავლების საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის განმარტავს ადვოკატთა ასოციაციის წევრების ქცევის ჩვეულებრივ შეზღუდვებს. ადვოკატთა საკვანძო როლის გათვალისწინებით, კანონიერია იმის მოლოდინი, რომ მათ შეეძლებათ წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების სწორად წარმართვაში და, ამრიგად, მასში საზოგადოების ნდობის შენარჩუნება. რაც შეეხება სახდელის პროპორციულობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოყენებულია დისციპლინური აქტის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მსუბუქი სანქცია, კერძოდ, წერილობითი საყვედური.

დასკვნა

სასამართლომ მიიჩნია, რომ საშინაო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სათანადო და საკმარისად დასაბუთებულია. აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.